პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 279 (12193) | კვირა, 10 დეკემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

> მუშათა კლასი თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მოწინავე კლასია, შრომის ადამიანთა ნამდვილი იდეალების გამომხატველი და მათი განხორციელებისათვის ყველაზე აქტიური მებრძოლია.
>
> ნ. ს. ხრუშჩოვი.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა ძმური სოლიდარობისა და ერთიანობისათვის

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესზე 1961 წლის 9 დეკემბერს

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ვიდრე გადავცემდე კონგრესის დელეგატებს მისალმებას, მინდა რამდენადმე გადავუხვიო ჩემ მიერ მომზადებულ ტექსტს.

განსაკუთრებით დიდად და სასიამოვნოდ ამაღელვა იმ მხურვალე შეხვედრამ, სიმპათიებმა, რომლებიც ჩემ მიმართ გამოიჩინეს აქ შეკრებილმა ამხანაგებმა, როგორც დიდი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის მიმართ. მერწმუნეთ, როგორც მუშას, ყოფილ მეშახტეს, რომელმაც იცის, რა არის შრომა, განსაკუთრებით ძვირფასი და სასიხარულოა ასეთი შეხვედრა. მე ცოტა როდი მომიხდა მეშრომა, ისეე როგორც ყოველ მუშა ადამიანს. ამიტომ ჩემთვის სასიამოვნო არ არის, როცა ადიდებენ ერთ პიროვნებას, ჩემთვის უცხოა პიროვნების კულტი. და მე ბედნიერი ვარ მაშინ კი არა, როცა მე მომესალმებიან, ბედნიერი ვარ, როცა ადიდებენ ჩემს ხალხს, ჩემს მუშათა კლასს. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ის სიმპათიები და კეთილი გრძნობები, რომლებსაც თქვენ ჩანენთ, თქვენი გულის მგზნებარება მიმაჩნია იმ მოქმედების მოწონებად, რომელიც ჩაიდინა ყოფილი რუსეთის, ამჟამად საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა. **(ტაში).** ჩემთვის ძლიერ სასიამოვნოა მადლობა გადაგიხადოთ ამისათვის, რადგან ეს **მოწმობს** იმას, რომ თქვენ სწორად გესმით ჩვენი ღონისძიებანი და ჩვენი მისწრაფებანი. ჩვენი ღონისძიებანი კი ის არის, რომ ავაშენოთ კომუნიზმი! **(ხანგრძლივი ტაში).**

არ ვიცი, ყველა აქ დამსწრე დგას თუ არა კომუნიზმის მშენებლობის პოზიციებზე, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, მაინტერესებს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ განსაზღვრავს, როგორია ესა თუ ის ადამიანი. ის, ვისაც დღეს არ ესმის კომუნიზმი, ხვალ შეიძლება მისი ბრმხრე გახდეს, რადგან კომუნიზმი ხიბლავს ადამიანებს თავისი ცოცხალი საქმეებით, რომელთა მიზანია მთელი კაცობრიობის კეთილდღეობა და ბედნიერება. და თუ დღეს ზოგიერთი ადამიანი ჯერ კიდევ არ ცნობს კომუნიზმს, ისინი აუცილებლად გაიზიარებენ მას ხვალ. **(ნუუხარე ტაში).**

შეიძლება თქვან, რომ ხრუშჩოვი კვლავ ეწევა პროპაგანდას. თუ თქვენ ასე იფიქრეთ, არ შეცდებით. **(გამოცოცხლება დარბაზში. მჭუხარე ტაში).** დიახ, მე ვიყავი, ვარ. და მუდამ ვიქნები პროპაგანდისტი. სანამ მკერდში გული მიძგერს, ვიქნები მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, კომუნიზმის მშენებლობის იდეების პროპაგანდისტი! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. მოწონების შეძახილები: „გაუმარჯოს კომუნიზმს!").**

მე ვარ კომუნისტი, წარმომადგენელი დიადი პარტიისა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა მექმნა. **(მჭუხარე ტაში).** იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელიც მუშათა კლასს მიუძღვის გამარჯვებისაკენ და უკვე იმკის ხალხის ბედნიერებისათვის თავისი გმირული ბრძოლის ნაყოფს. **(ტაში).** ჩვენი პარტია შეიქმნა ღომა იატაკქვეშეთში, იგი მუშაობდა მეფის რეჟიმის, რეაქციის წყვდიადში. ბევრი მტერი მაშინ სეიროზულად არ ეკიდებოდა იმ პარტიის ძალებს, რომელსაც ლენინი ქმნიდა.

მაგრამ ლენინი დიდი მარქსისტია, მას კარგად ესმოდა გიგანტური ძალები, რომლებსაც მარქსიზმის მოძღვრება შეიცავს, და იგი ამბობდა: თუ ჩვენ შევქმნით რუსთა კლასის პარტიას, ამ პარტიით გადავაბრუნებთ რუსეთს. აუთი პარტია — ბოლშევიკების პარტია შეიქმნა. მან შეიმუშავა თავისი პირველი პროგრამა. ბოლშევიკებმა, ლენინის მეთაურობით, დაამხეს მეფის რეჟიმი რუსეთში, გაიმარჯვა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებმა, შეიქმნა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა! **(მჭუხარე ტაში).**

იმ დროს ჩვენი ქვეყანა დანგრეული იყო ომით, შიმშილით. მაგრამ მაშინაც კი, როცა მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, ჯერ კიდევ გრიალებდა ზარბაზნები საბჭოების ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო მოსკოვი თეთრგვარდიული არმიების გარემოცვაში იყო, ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ჩვენი პარტიის მეორე პროგრამა. ეს იყო, ამხანაგებო, იმ დროს, როცა მტრებს მიაჩნდათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დღეები დათვლილია, რომ დღეს თუ არა ხვალ დამთავრდება საბჭოთა რუსეთის არსებობა. აი რა დროს იყო მიღებული ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პროგრამა.

ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა უელსმა დაწერა წიგნი „რუსეთი ბურუსში", რომელშიც ლენინს კრემლის მეოცნებე უწოდა. მაგრამ ამ მწერალ-ფანტასტასაც კი, რომელიც კარგ ფანტასტიკურ რომანებს წერდა, არ ეყო ფანტაზია დიდი ლენინის რეალური აზროვნების გაგებისათვის.

პარტიის პირველი ორი პროგრამა წარმატებით შესრულდა. ახლა ჩვენ მივიღეთ მესამე პროგრამა, კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა. და ეს ყველაფერი მოხდა რაღაც ორმოცდაათი წლის განმავლობაში. განა ეს ჩვენი პარტიის, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, მთელი დიდი საბჭოთა ხალხის გმირული საქმე არ არის! **(მჭუხარე ტაში).**

ახლა, როცა ჩვენი მოწინააღმდეგენი, სოციალიზმის მტრები კითხულობენ კომუნისტური მშენებლობის პროგრამას, რომელიც XXII ყრილობამ მიიღო, აღარ ამბობენ, რომ ეს ფანტასტიკაა. არა, ახლა ისინი ამბობენ, რომ საჭიროა კაპიტალისტური სამყაროს ძალების მობილიზაცია, საჭიროა უჩვენონ, თუ რა ძალუძს კაპიტალიზმს. სწორედ მათ უნდა უჩვენონ! ვის უნდა უჩვენონ?

დიახ, ახლა არის ძალა, რომელიც აიძულებს მათ უჩვენონ კაპიტალიზმის შესაძლებლობანი მთელი მსოფლიოს ხალხებს. ეს ძალაა სოციალისტური ბანაკი, მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი იდეების ძალა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! იდეები აღფრთოვანებენ ადამიანებს დასახული მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში. ეს არის მათი ძალა. მაგრამ, როცა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები გახდნენ, ასე ვთქვათ, სახელმწიფო იდეები, შეიძინეს მატერიალური საფუძველი, მაშინ ისინი ზემოქმედებას იხდენენ ადამიანთა უფრო ფართო წრეზე. თეორიული დებულებების, იმ პრაქტიკული გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, რომელსაც იძლევიან საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, ახლა ყველა ხედავს, რა დიადი საქმეებისათვის რაზმავს ხალხებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, როცა მასები ეუფლებიან ამ იდეებს, როცა ამ იდეების საფუძველზე მუშათა კლასი, მშრომელები საკუთარ ხელში იღებენ ძალაუფლებას და აშენებენ საკუთარ სახელმწიფოს. ეს ძლავრი ძალაა, რომელსაც ვერაფერი ვერ გაუმკლავდება. დაე ბატონმა იმპერიალისტებმა, მონოპოლისტებმა და ყოველგვარმა კოლონიზატორებმა, — ეს კი ერთი და იგივეა, — იცოდნენ, რომ ვერავითარი მათი ლოცვა, ვერავითარი მათი შელოცვა უკუღმა ვერ დაატრიალებს ისტორიას, რომ მან, საწინააღმდეგო მიმართულებით იმოძრაოს. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, ამხანაგებო! **(ხანგრძლივი ტაში).**

გულითადი მისალმება, რომლითაც მე შემხვდით, მესმის როგორც მისალმება იმ იდეებისადმი, რომელთა საფუძველზე შენდება ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო, მისალმება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი, მისალმება ჩვენი ხალხის ღონისძიებებისადმი, რომელმაც აღმართა წითელი დროშა, უკვე 44 წელია მაღლა უჭირავს იგი და იმარჯვებს ამ დროშით. **(ხანგრძლივი ტაში).** თუ მე ვცდები, მითხარით — ეს არ მეწყინება, შემიძლია დავიცვა ჩემი იდეები.

ბოდიში უნდა მოვიხადო თქვენს წინაშე, ამხანაგო ფრაშონ, რადგან ვთქვი, რომ ჩემს გამოსვლას მოუნდება 25-30 წუთი და შეგპირდით არ გადამეხვია ტექსტისათვის, თუმცა თქვენ არ შეგიზღუდივართ. მაგრამ ახლა ხედავთ, რომ ჩემი დაპირება არც თუ სავსებით საფუძვლიანი გამოდგა. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).**

ვფიქრობ, მეგობრებო და ამხანაგებო, სასტიკად არ განმსჯით ამისათვის. **(ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო!

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა გულითადი მადლობა გადაგიხადოთ დიდი პატივისცემისათვის, რომელიც აღმომიჩინეთ იმით, რომ გამოვედი კონგრესზე, რომელიც საერთაშორისო მუშათა კლასის ყველაზე ფართო მასობრივ ორგანიზაციას წარმოადგენს. საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ მივესალმები კონგრესის ყველა მონაწილეს და გისურვებთ წარმატებებს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წინაშე მდგომი დიდი და პასუხისაგები ამოცანების გადაჭრაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენთვის სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ პროფკავშირთა მეხუთე მსოფლიო კონგრესი მიმდინარეობს მოსკოვში — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში, საიდანაც დიდი ოქტომბრის შემდეგ გაისმის გმარჯვებული მუშათა კლასის ხმა, სოციალიზმის, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის ხმა. **(ტაში).**

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია საერთაშორისო მუშათა კლასის პირმშოა, მისი ორგანიზებულობისა და კლასობრივი თვითშეგნების ზრდის განსახიერებაა. მეხუთე მსოფლიო კონგრესზე წარმოდგენილი არიან დედამიწის ყველა ნაწილის პროფკავშირები. კონგრესს ესწრებიან სხვადასხვა მიმართულების პროფკავშირთა წარმომადგენლები. ეს თქვენს კონგრესს წარმომადგენლობით, შრომის ადამიანთა ნამდვილ მსოფლიო ასამბლეად ხდის.

მუშათა კლასი თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მოწინავე კლასია, შრომის ადამიანთა ნამდვილი იდეალების გამომხატველი და მათი განხორციელებისათვის ყველაზე აქტიური მებრძოლია. დადგა ის პერიოდი, როცა მისი უდიდებულესობა — მუშათა კლასი იმდენად გაიზარდა, განმკიცდა და ისეთ გამარჯვებებს მიაღწია, რომ შეუძლია განსაზღვროს ისტორიული განვითარების მსვლელობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის სასარგებლოდ. მუშათა კლასის მძლავრი ძალები, სოციალიზმის ძალები განუხრელად ავიწროებენ ძველ ექსპლოატატორულ სამყაროს. **(ტაში).** უკვე ჩვენი პლანეტის ვეებერთელა სივრცეებზე მუშები არიან თავიანთი ბედის ბატონ-პატრონი და ყველა მშრომელთან კავშირით აშენებენ ახალ ცხოვრებას. ამავე დროს მილიონობით მათი ძმები — მშრომელები არასოციალისტურ ქვეყნებში სულ უფრო მტკიცედ ირაზმებიან თავიანთი უფლებებისა და ინტერესებისათვის საბრძოლველად. არ ყოფენ კაპიტალისტური, ექსპლოატატორული წყობილების საყრდენებს.

კაცობრიობის მთელ ისტორიაში არც ერთ კლასს არ გაუკეთებია ისეთი დიადი საქმეები, როგორიც მუშათა კლასს. მან დაამტკიცა, რომ ძალა შესწევს არა მარტო დანგრიოს ძველი სამყარო — ექსპლოატაციისა და ძალმომრეობის სამყარო, არამედ კიდევაც ააშენოს ახალი საზოგადოება — სოციალიზმის საზოგადოება, ხალხის მასების უზრუნველყოფილი, ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრების საზოგადოება.

შეხედეთ ჩვენს ქვეყანას. საბჭოთა ხელისუფლების 44 წლის მანძილზე მუშებმა, გლეხებმა, საბჭოთა ინტელიგენციამ გარდაქმნეს ოდესღაც ჩამორჩენილი რუსეთი, გადააქციეს იგი მოწინავე ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის, მაღალი კულტურის ქვეყნად, რომელიც სათავეში უდგას კაცობრიობის პროგრესს. საბჭოთა თანამგზავრები და მთვარის რაკეტები, კოსმოსური სასწაულებრივი ხომალდები, გმირების იური გაგარინისა და გერმანე ტიტოვის ისტორიაში პირველი გაფრენები კოსმოსში განსაკუთრებით მკაფიოდ ასახავენ საწარმოო ძალების, მეცნიერებისა და ტექნიკის მძლავრ აღმავლობას, თავისუფალი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი გენიის აყვავებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდეგ სხვა სოციალისტური ქვეყნების მუშათა კლასმა ცხადყო, რომ ეს არის შემოქმედი კლასი, ყველაზე მოწინავე სოციალურ-ეკონომიური წყობილების შემქმნელი კლასი, ყველაზე მაღალი კულტურის, ნამდვილი ცივილიზაციის მატარებელი კლასი. ისტორია იძლევა ნათელ პასუხს კითხვაზე, თუ საზოგადოების რომელ კლასს შეუძლია უზრუნველყოს ხალხისათვის მშვიდობა, სოციალური პროგრესი, აყვავება და ბედნიერება. ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასს, ხალხის მასებს, რომლებმაც საკუთარ ხელში აიღეს ძალაუფლება.

ჩვენს პროფკავშირებს ეკუთვნით დიდი დამსახურება საბჭოთა ხალხის ყველა მიღწევაში. ვ. ი. ლენინი, განსაზღვრავდა რა პროფკავშირების როლს სოციალისტურ სახელმწიფოში, ამბობდა, რომ ისინი უნდა იყონ მეურნეობის გაძღოლის სკოლა, მართვა-გამგეობის სკოლა, კომუნიზმის სკოლა. და ისინი გახდნენ ასეთ სკოლად. **(ტაში).** პროფკავშირებმა გიგანტური მუშაობა გასწიეს მშრომელთა შეკავშირებისათვის, ორგანიზაციისათვის, შეჯიბრების გაშლისათვის, შრომის ახალი დისციპლინის დანერგვისათვის. პროფკავშირებმა გამოზარდეს შესანიშნავი კადრები, რომლებიც მუშაობენ წარმოების, სახელმწიფო და კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში. ყველაფერში, რაც ეხება სახელმწიფოებრივ და სამეურნეო მართვას, ადამიანთა ყოფაცხოვრებას, მათი კულტურული დონის ამაღლებას, პროფკავშირები იჩენენ თაოსნობასა და ინიციატივას.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდან ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო განუყოფელად დაკავშირებულია საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან, ემყარება მის თანაგრძნობასა და მხარდაჭერას. თავისი კლასობრივი ძმების დახმარებას ჩვენი ხალხი ყოველთვის გრძნობს. ჩვენ დიდად ვაფასებთ ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანთა მხარდაჭერას, მათს სოლიდარობას ჩვენი საქმისადმი. ნება მიბოძეთ გადმოგცეთ თქვენ, ხოლო თქვენი მეშვეობით მთელ საერთაშორისო მუშათა კლასს, მთელი მსოფლიოს მშრომელებს საბჭოთა ხალხის გულითადი მადლობა ამ ძმური მხარდაჭერისათვის. **(მჭუხარე ტაში).**

თავის მხრივ საბჭოთა მუშათა კლასი, მთელი ჩვენი ხალხი ცდილობენ ყველაფერი გააკეთონ, რათა გაამართლონ საერთაშორისო მუშათა კლასის ნდობა და თავიანთი წარმატებებით ხელი შეუწყონ მის წინსვლას ნათელი მომავლისაკენ. ჩვენ არ ვმალავთ: ჩვენი გზა ძნელი იყო, ჩვენ ყამირით მივდიოდით, მივდიოდით გაუკვალავი ბილიკებით, და სიხარულით ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას სხვა ქვეყნებს მშრომელებს, რადგან ვიცით, რომ ეს გამოცდილება გზას შეუმსუბუქებს მათ.

საბჭოთა კავშირი ახლა თავისი განვითარების ახალ ეტაპში შევიდა. სკკპ XXII ყრილობამ მიიღო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამა, საზოგადოებისა, რომლის დროშაზე წარწერილია დიდებული მიზნები: მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და ბედნიერება. **(ხანგრძლივი ტაში).** ამ სამართლიან საზოგადოებაზე, ოქროს ხანაზე ოცნებობდა ადამიანთა მრავალი თაობა. კომუნისტების, მათი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიდიადე ის არის, რომ მათ გამოხატეს კაცობრიობის საუკეთესო ოცნებები, გაკაფეს სწორი გზები მსოფლიოში ყველაზე სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად. ახლა, როცა არის ჩვენი პარტიის პროგრამა, თვითეულს შეუძლია თვალნათლივ დაინახოს, თუ რას წარმოადგენს კომუნიზმი და რა სიკეთე მოაქვს მას ადამიანებისათვის. პროგრამა თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ერთი მიზნით — „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის". ჩვენს ქვეყანაში ხალხს დიდი ხანა მინიჭებული აქვს შრომის, დასვენების, მოხუცებულობაში, ავადმყოფობის და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება, განათლების უფლება. ჩვენს ქვეყანაში განათლება და სამედიცინო შემსახურება უფასოა. ახლა ჩვენ უფრო შორს მივდივართ. ჩვენში განხორციელდება თანდათანობით გადასვლა იმაზე, რომ ბავშვებსა და ყველა შრომისუუნაროს ინახავდეს საზოგადოება, შემოღებული იქნება ბინებით, კომუნალური მომსახურებით და ტრანსპორტით უფასო სარგებლობა, უფასო კვება (სადილები) სამუშაო ადგილის მიხედვით. საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა ყველაზე მაღალი იქნება მსოფლიოში. **(ტაში).**

ისტორიამ დაადასტურა, რომ მხოლოდ მუშათა კლასს ძალუძს უზრუნველყოს ნამდვილი დემოკრატია. ყველა ექსპლოატატორული კლასი ხელისუფლების სათავეში ძლებდა და ძლებს სასტიკი დიქტატურის, უმრავლესობის ნების დათრგუნვის განხორციელების გზით. მხეცური, ტერორისტული მეთოდებით ახორციელებს თავის დიქტატურას იმპერიალისტური ბურჟუაზია. სხვა კლასებისაგან განსხვავებით მუშათა კლასი არ ისწრაფვის სამუდამო გახადოს თავისი ძალაუფლება. ივი მართავს ქვეყანას დემოკრატიული მეთოდებით, სულ უფრო აფართოებს და აუმჯობესებს მათ, აბამს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში საზოგადოების ყველა ფენას. ისტორიაში პირველად ეს ცხადყო სსრ კავშირის მუშათა კლასმა. **(ტაში).**

სოციალიზმის აშენებისა და კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში შესვლის შემდეგ საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, გადაიქცა საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოდ. ეს მუშათა კლასის დიადი დემოკრატიზმის თვალსაჩინო მაჩვენებელია.

კომუნიზმის მშენებლობის პერიოდი პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის განუხრელი ზრდის პერიოდია. ჩვენი გენერალური კურსია აქტივობის განვითარება, საზოგადოების საქმეების მართვაში მონაწილეობის მისაღებად ყველა საბჭოთა მოქალაქის მოზიდვა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობის ამაღლება და ფუნქციების გაფართოება. ამ პერიოდში განსაკუთრებით გაიზრდება პროფკავშირების მნიშვნელობა.

თუ მთელ სამეურნეო, კულტურულ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენს ქვეყანაში წარმოვიდგენთ როგორც ხომალდს, რომელიც მიჰყავს ისეთ გამოცდილ მეკაჯ ეს, როგორიც კომუნისტური პარტიაა, მის გვერდით ამ ხომალდის კაპიტნის ბოგაზე დგანან პროფკავშირებიც. **(ხანგრძლივი ტაში).**

არც ერთი რამდენადმე დიდმნიშვნელოვანი საკითხი ჩვენში არ წყდება პროფკავშირების მონაწილეობის მიუღებლად. პროფკავშირები მოწოდებული არიან გააძლიერონ თავიანთი საქმიანობა მეურნეობის ხელმძღვანელობაში, დაეხმარონ მშრომელებს გამოიმუშაონ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვის ჩვევები, გამოვიდნენ კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრების ინიციატორებად, მუდამ ზრუნავდნენ მშრომელთა მატერიალური ინტერესებისა და უფლებებისათვის.

ამხანაგებო! პროფკავშირთა მეხუთე მსოფლიო კონგრესის დღის წესრიგში მდგომი საკითხები აღელვებს ყოველ მშრომელ ადამიანს, რომელ ქვეყანაშიც უნდა ცხოვრობდეს იგი. თავისი ბრძოლით მშრომელთა ინტერესებისათვის პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მოიხვეჭა შრომის ადამიანთა ღრმა პატივისცემა დედამიწის ყველა ნაწილში. განუხრელად იცავს რა კლასობრივ პოზიციებს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია თანმიმდევრულად იბრძვის კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის უფლებების გაფართოებისათვის, მისი სოციალური და ეკონომიური მოთხოვნების განხორციელებისათვის. მშრომელები განსაკუთრებით აფასებენ იმ ფაქტს, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, სამარცხვინო კოლონიური სისტემის საბოლოო ლიკვიდაციისათვის. **(ტაში).**

თანამედროვე პირობებში ყველა საკითხთა საკითხია ბრძოლა მშვიდობისათვის, თერმოატომური ომის თავიდან აცილებისათვის. იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული წრეები ახორციელებენ გაშალებული შეიარაღების გაძლიერების პოლიტიკას, აღვივებენ ომის საფრთხის ძველ კერებს და ქმნიან ახალ კერებს, აძლიერებენ „ცივ ომს", ხოლო ყველაზე თავგამოდებულნი აშკარად მოუწოდებენ ცხელი ომისაკენ. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მშვიდობის დაცვისათვის ისტორიამ დააკისრა საერთაშორისო მუშათა კლასს. მუშათა მოძრაობის თვითეული მოღვაწე, თვითეული მუშა თანამედროვე პირობებში არ შეიძლება არ ეკითხებოდეს თავის თავს: ყველაფერი თუ გაკეთდა იმისათვის, რომ დავრაზმოთ და შევაკავშიროთ მშრომელთა მშვიდობისმოყვარე ძალები ომის თავიდან აცილებისათვის საბრძოლველად.

ამ მიმართულებით პირველი და გადამწყვეტი ნაბიჯია გაშალებული შეიარაღების შეწყვეტა და ბრძოლა სრული და საყოველთაო განიარაღებისათვის. გაშალებული შეიარაღება კოლოსალურ სახსრებს ნთქავს. ჯერ არასოდეს ადამიანთა საზოგადოებას არ დაუხარჯავს სიკვდილის იარაღების მომზადებაზე ამდენი მატერიალური სახსრები. ომებისა და მათთვის მზადების ხარჯებმა საუკუნის პირველ ნახევარში შეადგინა მთელ მსოფლიოში ოთხ ტრილიონ დოლარზე მეტი. ეს კოლოსალური თანხაა, ამ თანხით შეიძლებოდა უფასოდ გვეკვება პური ნახევარ საუკუნეს დედამიწის მთელი მოსახლეობა, აგვეშენებინა ათეულმოწყობილი ბინები 500 მილიონი ოჯახისათვის. განსაკუთრებით გაიზარდა შეიარაღების ხარჯები ამ ბოლო დროს. ბურჟუაზია, ხარჯავს რა ახალ და ახალ მილიარდებს გაშალებულ შეიარაღებაზე, ართმევს მუშას პურსა და კარაქს, მის შვილებს რძეს. და ყველაზე საშინელი ის არის, რომ გროვდება ადამიანთა გაჟლეტის იარაღების უდიდესი არსენალები. მშრომელთა ეკონომიური ინტერესების დაცვა განუყოფელად დაკავშირებულია ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, გაშალებული შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლასთან.

საბჭოთა კავშირი, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ნაცად ლენინურ პოლიტიკას, იბრძვის და გადაჭრით იბრძოლებს საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის საერთაშორისო კონტროლით, გააკეთებს ყოველივე შესაძლებელს, რათა არ დაუშვას ახალი ომი. **(ხანგრძლივი ტაში).**

იმისათვის, რომ არ დავუშვათ ომის გაჩაღება, დროზე უნდა უვნებელვყოთ ომის საფრთხის კერები, მოლაპარაკების გზით მოვაწესრიგოთ ყველა გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემა.

იმპერიალისტებს სურთ თავისებურად გადაჭრან საერთაშორისო პრობლემები: ჩაახშონ კუბა, სისხლში ჩაახშონ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, შთანთქან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო თუ მოხერხდა, სხვა სოციალისტური ქვეყნებიც. მაგრამ ჩვენ ვეუბნებოდით და ვეუბნებით მათ: თქვენ, ბატონებო, რეალისტურად ვერ მსჯელობთ! მსოფლიოში ახლა ძალთა ისეთი თანაფარდობა როდია. ექსპლოატატორთა განუყოფელი ბატონობის საუკუნე დამთავრდა. მხოლოდ უგუნურ ადამიანებს შეუძლიათ იოცნებონ, რომ კვლავ დაადებენ ხალხებს კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის ბორკილს. არ გამოვა ეს, ბატონებო! არასოდეს არ გამოვა! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

რა თქმა უნდა, იმპერიალიზმის მტაცებლური ხასიათი არ შეცვლილა, იმპერიალიზმი მშვიდობის მოყვარე არ გამხდარა. მისი სიხარბე არ შემცირებულა. მთელი საქმე ის არის, რომ მსოფლიოში მოხდა კოლოსალური ცვლილებები. იმპერიალიზმის ზოგიერთმა წარმომადგენელმა კარგად უნდა გაიწმინდოს ტვინი, რომ უკეთ შეიგვისოს ეს. **(ტაში).** საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების შექმნის შემდეგ, რომელთა მოსახლეობა უკვე ახლა აღემატება მილიარდ კაცს, მათი ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში წარმატებათა შემდეგ საერთაშორისო მუშათა კლასმა მოიპოვა მძლავრი მატერიალური ბაზა აგრესორთა ასალაგმავად და სახელმწიფოთა შორის ომების თავიდან ასაცილებლად. **(ტაში).** მას ახლა აქვს საშუალებანი ომის ძალებისათვის დასაპირისპირებლად.

წინათ ჩვენ შეგვეძლო იმპერიალიზმის ძალებისათვის დაგვეპირისპირებინა მუშათა კლასის შეკავშირება. ჩვენი იდეები. მაგრამ იმპერიალისტებს იარაღი აქვთ. იმპერიალისტებს შეეძლოთ ომი გაეჩაღებინათ თავიანთი შეხედულებისამებრ. ახლა მსოფლიოში სხვა მდგომარეობაა. ახლა, პროლეტარული შეკავშირების გარდა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გარდა, მსოფლიოში არიან სოციალისტური ქვეყნები, რომლებშიც ცხოვრობს მილიარდზე მეტი კაცი. ამ ქვეყნებში არის მძლავრი არმიები. ამ ქვეყნებს აქვთ აყვავებული ეკონომიკა, მაღალი ტექნიკა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ მსოფ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

ლიო ომის თავიდან აცილების შესაძლებლობაზე, ჩვენ მივმართავთ არა შელოცვას, რათა თავიდან ავიცილოთ ომები, ჩვენ ვემყარებით სოციალისტური ბანაკის ძალებს, ძლიერებას, მარქსისტულ-ლენინური იდეების ძალებს, მშვიდობისათვის მებრძოლი ხალხების ძალებს! თუ აგრესორი გააჩაღებს ომს, საბჭოთა არმია აგრესორის დარტყმას უპასუხებს თავისი მძლავრი გამანადგურებელი დარტყმით! **(ხანგრძლივი ტაში).**

ეს გადახვევაა ტექსტიდან, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა რომ არა თქვან, აი, ხრუშჩოვი იმუქრებაო, ვიტყვი: ჩვენ არავის არ ვემუქრებით. პირიქით, საბჭოთა მთავრობა მოუწოდებს მშვიდობისა და განიარაღებისაკენ. ჩვენ მხოლოდ ვაფრთხილებთ ფიცხ ადამიანებს: თუ თქვენ ვერ შეიგნებთ მშვიდობისმოყვარულ მოწოდებებს და გააჩაღებთ ომს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, გარდუვალი დაღუპვა მოგელით. **(ხანგრძლივი ტაში).** თქვენ გამარჯვებას ვერ იხილავთ, როგორც საკუთარ ყურებს. **(გამოცოცხლება დარბაზში).** სოციალისტურ ბანაკს ახლა აქვს საშუალებანი ომის ძალებისათვის დასაპირისპირებლად! **(მქუხარე ტაში).**

ამას რომ ვერ ხედავდე, ეს ნიშნავს აკნინებდე საერთაშორისო მუშათა კლასის შესაძლებლობებს და აზვიადებდე იმპერიალიზმის ძალებს. ამ საკითხის სწორ გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკის სწორი განსაზღვრისათვის იმ პირობებში, როცა იმპერიალიზმი აღარ არის საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი ფაქტორი. სწორედ ვითარების ამ გაგების მიხედვით განვსაზღვრავთ ჩვენს პოლიტიკას. აი ერთი მაგალითი. ჩვენ მოვაწყეთ თერმოატომური იარაღის გამოცდა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველამ ვერ შეიგნო ამ ჩვენი ნაბიჯის სისწორე და იძულებული აუცილებლობა. ამ ღონისძიებას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მშვიდობის შენარჩუნებისათვის. სოციალიზმის ძალებმა, საერთაშორისო მუშათა მოძრაობამ გამოცდის შედეგად მიიღეს ახალი მძლავრი იარაღი იმპერიალისტი აგრესორების ასალაგმავად — 50-დან 100 მილიონ ტონამდე და მეტი სიმძლავრის თერმოატომური ბომბები. ეს კოლოსალური ძალაა, ამხანაგებო!

რა თქმა უნდა, ეს მოსპობის საშუალებაა. მაგრამ იმპერიალისტური ბანაკი ხომ განაგრძობს დალესის პოლიტიკას, „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას. და თუ ჩვენ თქვენთან ერთად გამოვიდოდით ჯვრით და ლოცვებით, დავიჩოქებდით და მოვუწოდებდით იმპერიალისტებს ადამიანობისაკენ, ისინი დაგვცინებდნენ, ისინი ამაში დაინახავდნენ მხოლოდ ჩვენს სისუსტესა და თავიანთ ძალას. ამის ნაცვლად ჩვენ ვეუბნებით: ბატონო იმპერიალისტებო, ფრთხილად იყავით მოსახვევებზე! **(გამოცოცხლება დარბაზში. მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** თუ თქვენ გსურთ განახორციელოთ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, აი ის ძალა, რომელიც დაუპირისპირდება თქვენს ძალას, აი იგი! თქვენ ჯერ არ გაქვთ 50-მილიონნიანი და 100-მილიონნიანი ბომბები, საბჭოთა კავშირს კი უკვე აქვს 100-მილიონიანზე მეტიც. **(ტაში).** ჩვენ არ ვსარგებლობთ და არასოდეს არ ვისარგებლებთ ამ იარაღით იმისათვის, რომ მუქარით ვცდილობდეთ რაღაცის მიღწევას. არა! მაგრამ ჩვენ ვისარგებლებთ ამ იარაღით, თუ მტრები გააჩაღებენ ომს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, დაე ეს კარგად დაიხსომონ იმათ, ვისთვისაც საჭიროა. **(გამოცოცხლება დარბაზში. მქუხარე ტაში).** და ამიტომ ახლა, როცა იმპერიალისტები დაიწყებენ საკითხის გადაწყვეტას, გააჩაღონ თუ არა ომი, მათ თავზე მუდამ იქნება დაკიდებული დამოკლეს მახვილივით 50-100 მეგატონის საბჭოთა ბომბები. **(ტაში).** საკითხავია, რა როლს ასრულებს რაკეტულ-ატომური იარაღი საბჭოთა სახელმწიფოს ხელში? აკავებს თუ არა იგი იმპერიალიზმის აგრესიულობას. მტაცებლურ ხასიათს? ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ჩვენი რაკეტულ-ატომური იარაღი მძლავრი ფაქტორია, რომელიც აკავებს იმპერიალისტთა აგრესიულ ზრახვებს. **(ტაში).**

დასავლეთის პრესაში ამტკიცებენ, რომ როცა ხრუშჩოვი ლაპარაკობდა გერმანიის საკითხის გადაჭრაზე, იგი დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს უწოდებდა „მძევალ ქვეყნებს“. ჩვენ არ გვინდა ვიყოლიოთ რაიმე მძევლები, არავისი დაშინება არ გვინდა, ჩვენ გვინდა განიარაღება და დაგროვებული იარაღის მოსპობა, ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ მშვიდობით და მეგობრობით ყველა ხალხთან. აი ჩვენი მიზანი, ჩვენი იდეალები! **(მქუხარე ტაში).**

მაგრამ, ბატონებო, მე მივმართავ დასავლეთის სახელმწიფოთა იმ მმართველ წრეებს, რომლებზეც ბევრად დამოკიდებულია საერთაშორისო საკითხების გადაჭრა და მშვიდობის უზრუნველყოფა, — გაითვალისწინეთ ჩვენი გაფრთხილება: თუ ომი გაჩაღდა, ეს აღარ იქნება გასეირნება, მსგავსად იმისა, როგორც ჰიტლერი ემზადებოდა გაესეირნა უკრაინის ველებში, მიეღწია მოსკოვამდე და მისულიყო ვოლგამდე. ვოლგამდე იგი მივიდა, მაგრამ ბერლინში ჩაკვდა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ შეგვიძლია პირობა მივცეთ იმპერიალისტებს, რომ ახლა მათ არ მოუხდებათ მარშით იარონ უკრაინის ველებში, საბჭოთა კავშირის მინდვრებში, რადგან, თუ ომი იქნა, ეს იქნება სულ სხვა ხასიათის ომი, ვიდრე წინათ. გამანადგურებელ საპასუხო დარტყმას მივაყენებთ ყოველ აგრესორს, ვინაიდან ახლა იმდენად ძლიერია თერმოატომური იარაღის მიტანის საშუალებანი, რომ მისი მიტანა შეიძლება დედამიწის ყოველ პუნქტში. თუ ჩვენ შევძელით იური გაგარინისა და გერმანე ტიტოვის კოსმოსური ხომალდების დაჯენა გაანგარიშებულ ადგილზე, რა თქმა უნდა, შევძლებთ ავწიოთ სხვა „ტვირთი“ და „დავაჯინოთ“ იგი იქ, საიდაც მოვისურვებთ. **(ტაში).** ამას ვამბობთ იმისათვის, რომ შეიგნონ შუბლმაგარმა პოლიტიკოსებმა, რომ ახლა ჩვენი დავა, რა მიმართულებით განვითარდება ისტორია, უნდა გადაიჭრას არა ომით, არამედ მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში. თუ თქვენ, იმპერიალიზმის იდეოლოგებო, გჯერათ კაპიტალისტური წყობილების ურყევობა, რატომ იღებთ იარაღს ხელში და გინდათ დაიწყოთ ომი სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ? გვიჩვენეთ, რა უნარი შესწევს კაპიტალიზმს. ასაკით თქვენ ჩვენზე უფროსი ხართ, მაგრამ სოციალიზმი — ეს ახალი ისეთი, ხატოვნად რომ ვთქვათ, ბავშვია, რომელსაც იმდენად გაუმაგრდა კუნთები, რომ მზად არის შეეჯიბროს კაპიტალიზმს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

მსოფლიომ იცის ჩვენი ოცი წლის პროგრამა. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ დროში ძირითადად ავაშენებთ კომუნიზმს, რომ შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თქვენ ამბობთ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება არ არის სწორი. ამ შემთხვევაში თქვენთვის მხოლოდ ხელსაყრელია, რომ ჩვენ ვცდებით, რომ არასწორ პოზიციებზე ვდგავართ. არა, ბატონო კაპიტალისტებო, თქვენ უფრო ჭკვიანი ხართ მაშინ, როცა საკუთარ თავთან მსჯელობთ, ვიდრე მაშინ, როცა კომუნიზმის შესახებ სხვებისათვის წერთ. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).** კაპიტალისტურ სამყაროში ყველაზე საღად მოაზროვნე ადამიანებს ესმით, რომ ახალი აღმავალი საზოგადოება შეცვლის კაპიტალიზმს.

ჩვენ გვწამს ჩვენი იდეები, გვწამს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების უკვდავება. გვწამს, რომ მხოლოდ ამ გზით მოიპოვებს კაცობრიობა ბედნიერებას. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

მე ვიცი, რომ ამ დარბაზში ყველა როდი კომუნისტი, ყველა დამსწრე როდი იზიარებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს. ეს, ამხანაგებო და მეგობრებო, თვითეული ადამიანის საქმეა. მაგრამ ჩემზეც ნუ დარჩებით ნაწყენი, ნება მიბოძეთ მწამდეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები. დღეს თუ არა, ხვალ. ბევრი თქვენგანი შეიგნებს ამ იდეების სიდიადეს. ყველაზე საუკეთესო მასწავლებელია ცხოვრება, ისტორია, იგი ასწავლის ჭკუას! მეც კომუნისტი როდი დავიბადე, კაპიტალისტებმა მასწავლეს ეს და გავხდი კომუნისტი! **(გამოცოცხლება დარბაზში. მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

სხვადასხვა ქვეყნის ბევრი პატიოსანი ადამიანი შეშფოთებას გამოთქვამს ატომური გამოცდების შედეგების გამო, რომლებიც მავნეა კაცობრიობის ჯანმრთელობისათვის. გვესმის მათი შეშფოთება და ჩვენც ვცდილობთ ბოლო მოვუღოთ თერმოატომური ბომბების აფეთქებებს. მაგრამ იმ პირობებში, როცა იმპერიალისტები ომით იმუქრებიან, სოციალიზმის ქვეყნებს უხდებათ იფიქრონ, უწინარეს ყოვლისა, არა გამოცდების რადიოაქტიურ ნალექებზე, არამედ იმაზე, რომ ატომურმა ბომბებმა არ დაიწყონ მთელი ქალაქებისა და მილიონობით ადამიანის მოსპობა.

ამხანაგებო! სხვადასხვა ადამიანებთან საუბრის დროს მე, როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, მიხდება განვუმარტო ჩვენი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა. იმპერიალისტები ზრდიან ატომურ იარაღს თავიანთ ქვეყნებში, გვიმუქრებიან ომით, და ჩვენ ვიქნებოდით არაშორსმჭვრეტელი ადამიანები, დოყლაპიები, თუ ჩვენ, როცა შესაძლებლობა გვაქვს შევქმნათ მძლავრი თერმოატომური იარაღი, რომელიც აკავებს აგრესორს, არ გავაკეთებდით ამას. ზოგიერთი ამბობს, რომ ამის შედეგად გაუარესდება ადამიანთა ჯანმრთელობა, მაგრამ ასეთი იარაღი რომ არ შეგვექმნა, ჩვენ განიარაღებული აღმოვჩნდებოდით შეიარაღებული იმპერიალისტური ბანაკის წინაშე.

მაშ როგორ გნებავთ, ვეუბნებოდი ასეთ ადამიანებს, თქვენ გინდათ შექმნათ ისეთი პირობები, როცა იმპერიალისტი მესვეურები შეძლებდნენ მოესპოთ არა მარტო ყველა ჩვენი მონაპოვარი, არამედ სოციალისტური ქვეყნების თვით ხალხებიც. ჩვენ კი, რომლებსაც შეგნებული გვაქვს ეს, გამოსაცდელი აფეთქებებიც კი არ გვეწარმოებინა, რათა ჰაერი არ გაგვეფუჭებინა.

არა, ბატონო იმპერიალისტებო, თუ თქვენ გსურთ ჩვენი მოსპობა, მაშ ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ ჩავფუშოთ თქვენი ზრახვები, ხოლო თუ ომს დაიწყებთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ამ ომში მოისპოს იმპერიალიზმი, რომელიც ომებს წარმოშობს. რა საჭიროა სუფთა ჰაერი, თუ იმპერიალისტები ადამიანებს უმზადებენ სიკვდილს გამანადგურებელი ატომური ომის ცეცხლში. რა სახელმწიფო მოღვაწეები ვიქნებოდით, თუ ვერ შევიგნებდით ამას და არ მოვემზადებოდით იმისათვის, რომ გამანადგურებელი პასუხი გავცეთ იმპერიალისტ აგრესორებს. ამას ვამბობ საბჭოთა ხელმძღვანელ მოღვაწეებზე, ჩემ თავზე, როგორც საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეზე, თავისი ხალხის მაღალი ნდობით აღჭურვილზე, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანზე, პარტიის ნდობით აღჭურვილზე, რადგან ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიმართულებით ვახორციელებთ და განვახორციელებთ ჩვენს პოლიტიკას.

მე მიმაჩნია, რომ ჩვენი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა ერთადერთი სწორი, მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკაა. ის გეზი, რომელიც ჩვენ ავიღეთ, **რომლითაც ვხელმძღვანელობთ,** რომელსაც ვადგავართ, სწორი გეზია, რომელიც შეესაბამება ხალხთა ყველაზე საარსებო ინტერესებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ მოხარული ვიქნებოდით არა მარტო არ გამოგვეცადა ატომური იარაღი, არამედ სავსებით გაგვეთავისუფლებინა მისგან კაცობრიობა, აგვეკრძალა მისი წარმოება და მოგვესპო დაგროვილი მარაგი. ჩვენ გვითქვამს დასავლეთის ქვეყნების მმართველი წრეებისათვის და კვლავ ვიმეორებთ: ხელი აიღეთ სხვა ქვეყნების მიმართ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განხორციელებაზე, **დათანხმდით** საყოველთაო და სრულ განიარაღებაზე, და მაშინ თავისთავად სავსებით აღმოიფხვრება საკითხი ატომური გამოცდის შესახებ.

ჩვენ გვესმის გამოცდის მავნეობა. ვიცით, რომ გამოცდა წამლავს ატმოსფეროს. იმპერიალისტები ხმამაღლა გაჰყვირიან ამ მავნეობაზე, როცა ჩვენ ვახორციელებთ გამოცდას. ხოლო როცა თვითონ ისინი ახორციელებენ გამოცდას, ამჯობინებენ დუმდნენ ამაზე.

ახლა საბჭოთა კავშირმა შეიტანა ახალი წინადადებები, რომ დაიდოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ და იმის შესახებ, რომ ატომური იარაღის მქონე სახელმწიფოებმა არ განახორციელონ გამოცდა, სანამ წარმოვებს მოლაპარაკება ამ შეთანხმების შესახებ. მერე რა? მიუხედავად ჩვენი მიმართვისა, დასავლეთის ქვეყნები ახორციელებენ ატომური იარაღის ახალ გამოცდებს. აქედან ჩვენ ვაკეთებთ სათანადო დასკვნას. ეს გვავალებს გულდასმით ვადევნოთ თვალყური საომარ მზადებას დასავლეთში და უფლებას გვაძლევს, როცა ეს საჭირო იქნება, განვაგრძოთ ჩვენი გამოცდა, რათა კვლავაც გავზარდოთ სოციალისტური ბანაკის ძლიერება. თქვენ კი კარგად იცით, რომ სოციალიზმის ქვეყნების ძლიერება მთლიანად ემსახურება მშვიდობის საქმეს. **(ტაში).**

ჩვენ ვაცხადებდით და ვაცხადებთ, რომ ომის ფატალური გარდუვალობა არ არის. სოციალისტური ბანაკის, მუშათა კლასის, პროფკავშირების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მშვიდობისმოყვარე არასოციალისტური ქვეყნების გაერთიანებული ძალები ბევრად სჭარბობენ იმპერიალისტური ბანაკის ძალებს. ამ ძალებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ ომი, თუ ისინი შეკავშირდებიან, დაუცხრომლად იბრძოლებენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ისწრაფვის გააჩაღოს ახალი ომი.

საჭიროა დიდი ღონისძიებანი, რათა მივაღწიოთ საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას მშვიდობისა და სამართლიანობის ინტერესებისათვის და ანგარიში გავუწიოთ ხალხთა ნებასა და სუვერენულ უფლებებს. საქმე ის არის, რომ იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს არა სურთ მშვიდობიანი მოწესრიგება. საბჭოთა მთავრობამ წინადადება წამოაყენა დაიდოს გერმანიის საზავო ხელშეკრულება, მოხდეს მდგომარეობის ნორმალიზაცია დასავლეთ ბერლინში და ამით განმტკიცდეს მშვიდობის საქმე. ამ მშვიდობისმოყვარულ წინადადებებზე იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა უპასუხეს ომის ისტერიით, გამალებული შეიარაღების გაძლიერებით, დაიწყეს შეიარაღებული ძალების გადიდება ევროპაში, ახორციელებენ სამობილიზაციო ღონისძიებებს, აშკარად იმუქრებიან ომით, თუ საბჭოთა კავშირი ხელს მოაწერს გერმანიის საზავო ხელშეკრულებას. მაგრამ ჩვენი დაშინება შეუძლებელია.

იქნებ იმპერიალისტებს სურთ თავს მოგვახვევონ შეჯიბრება იარაღის დაგრეგვებაში. მათ გაადიდეს თავიანთი სამხედრო ბიუჯეტები, ჩვენც გავადიდეთ. აი დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია, და თქვენ ნახეთ ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცდა. ჩვენ კმ ბიუჯეტში გავითვალისწინეთ ქარხნების მშენებლობაც და ბინების მშენებლობაც, საავადმყოფოების, სკოლების ქსელის განვითარება და სხვა რამეც. მაგრამ არ დავივიწყეთ საჭირო სახსრების ასიგნება თავდაცვისთვისაც.

ასე რომ, ბატონო იმპერიალისტებო, თუ თქვენ ფიქრობთ შეგვეჯიბროთ ამ საკითხში, აგრეთვე დამარცხდებით, იმიტომ რომ ჩვენს ეკონომიკას, ჩვენს საბჭოთა სისტემას, ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს შეუძლიათ უზრუნველყონ ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარება კომუნისტური მშენებლობის მიღებული პროგრამის ჩარჩოებში და ამავე დროს ჯეროვან დონეზე იქონიონ ჩვენი ქვეყნის დაცვა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ მხარს ვუჭერთ მოლაპარაკებას გერმანიის საკითხზე, მაგრამ ნამდვილ მოლაპარაკებას, ესე იგი მოლაპარაკებას მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციის შესახებ. დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეს კი სურს მოლაპარაკება გადააქციოს დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის განმტკიცებისა და „გაუმჯობესების“ საკითხად. იმ წინადადებასაც კი აყენებენ, რომ შეიქმნას რაღაც საერთაშორისო კორიდორი, რომელიც დასავლეთ ბერლინს დაუკავშირებს დასავლეთ გერმანიასთან, ხოლო ჩვენ დაგვაკისრონ, ასე ვთქვათ, ამ კორიდორით მოძრაობის მარეგულირებლის როლი.

საოცარი ადამიანები არიან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი საღათას ძილს მისცემიან და საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ მიაჩნიათ იმ სახელმწიფოდ, როგორიც იგი იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. ჩვენ კი დიდი ხანია ბავშვის მოკლე შარვალი მამების შარვლით შევიცვალეთ. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).** უნდა ვიფიქროთ, რომ თვით ამ იდეის ავტორებს სერიოზულად არ სჯერათ ეს. ხომ არ ფიქრობენ დაგვიყოლიონ ვიკისროთ ესოდენ საძრახისი როლი: დროა შეიგნონ, რომ ეს იდეა აშკარად არარეალურია და იგი არ ეხმარება პრობლემის გადაჭრას.

გერმანიის საკითხის ყველაზე გონივრული გადაჭრაა საზავო ხელშეკრულების დადება ორ გერმანულ სახელმწიფოსთან, თავისუფალი ქალაქის დასავლეთ ბერლინის შექმნა, დასავლეთ ბერლინში თავისუფალი შესვლის უზრუნველყოფა იმ სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე, რომლის ტერიტორიაზეც გადის კავშირის ეს ხაზები. ეს გერმანიის საკითხის რეალური გადაჭრაა, რომელსაც იცავდა და დაიცავს საბჭოთა კავშირი, მთელი სოციალისტური ბანაკი.

აგრესორთა ასალაგმავად საჭიროა მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების და პირველ რიგში საერთაშორისო მუშათა კლასის აქტივობაცია. ვფიქრობ დამეთანხმებით, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაკეთებულა, რათა ამოქმედდეს მუშათა მოძრაობის მთელი ძალები, რათა წინააღმდეგობა გაეწიოს იმათ, ვინც ახალ ომს ამზადებს. შეერთებული შტატების, დასავლეთ გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, იტალიისა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების მუშები არანაკლებ, ვიდრე სოციალისტური ქვეყნების მუშები, დაინტერესებული არიან იმით, რომ არ იყოს ახალი გამანადგურებელი ომი. საერთაშორისო მუშათა კლასს ახლა აქვს განუზომლად გაზრდილი შესაძლებლობანი, და თუ იგი მათ გამოიყენებს, მშვიდობა კაცობრიობისათვის უზრუნველყოფილი იქნება. **(ტაში).**

მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის, კაცობრიობის პროგრესისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის ლიკვიდაციას. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ყველა ხალხი თვითონ წყვეტდეს თავის ბედს, რომ ისინი თავისუფალი იყონ როგორც ძველი, ისე ახალი კოლონიზატორებისაგან. აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხებს არა სჭირდებათ კოლონიზატორთა ჭკუის სწავლება და რჩევა. რა გზას აირჩევენ ეს ხალხები, ეს მათი საშინაო საქმეა. ხალხები, რომლებმაც კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლის უდიდესი სკოლა გაიარეს, თვითონ გაერკვევიან, როგორ აშენონ ცხოვრება და ვისგან აიღონ მაგალითი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველა ამ ქვეყანაში იზრდება მუშათა კლასი, ამ კლასმა კი კარგად იცის, საით და როგორ წაიყვანოს საქმე. ჩვენ ვუსურვებთ აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის ყველა ხალხს თავისუფლებას, კოლონიალიზმის ნაშთების ლიკვიდაციას, ბედნიერებასა და აყვავებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი განუწყვეტლივ იჩენს სოლიდარობას თავისი კლასობრივი ძმებისადმი კაპიტალისტურ ქვეყნებში, ღრმა თანაგრძნობით ეკიდება მათს გმირულ ბრძოლას. ისინი მთლიანად უჭერენ მხარს იმ დიდ ღონისძიებებს, რომლებსაც ახორციელებს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, რათა მუშათა კლასმა სულ უფრო აქტიურად იბრძოლოს მონოპოლიების უღლის წინააღმდეგ. კლასობრივი ბრძოლა და არა მუშათა კლასისა და მისი ორგანიზაციების შერიგება იქსპლოატატორებთან — აი პროლეტარული მოძრაობის დიადი პრინციპი, მის ახალ გამარჯვებათა უმთავრესი პირობა.

მუშათა მოძრაობის წარმატებისათვის, როგორც ეს სამართლიანად იყო ხაზგასმული თქვენს კონგრესზე, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის ყველა რაზმის მოქმედების ერთიანობის უზრუნველყოფას. ახლა, როცა რეაქციის ძალები საერთაშორისო მასშტაბით ერთიანდებიან, რათა ჩაახშონ ყოველივე პროგრესული და მოწინავე, გამოუსწორებელი შეცდომა იქნება, თუ მუშათა მოძრაობა ეროვნულ ბინებსა და პროფკავშირებში წავიდა, თუ რეაქციის საერთაშორისო ფრონტს მუშათა მოძრაობის მძლავრი ფრონტი არ დაუპირისპირა.

პროფკავშირები, როგორც მუშათა კლასის მასობრივი უპარტიო ორგანიზაციები, აერთიანებენ სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური რწმენის მშრომელებს. ეს ქმნის ფართო შესაძლებლობებს პროფკავშირთა მოქმედების ერთიანობისა და საქმიანი თანამშრომლობისათვის, მშრომელთა კლასობრივი ინტერესებისათვის ბრძოლაში. ხომ ცხადია, რომ ყველა, ვინც საერთო კლასობრივ პოზიციაზე დგას, ყოველთვის გამონახავს ერთმანეთთან საერთო ენასაც, საერთო პლატფორმასაც, მოქმედების ერთიანობის მისაღებ ფორმასაც. **(ტაში).** დადგა დრო, რომ სხვადასხვა პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები მიუსხდნენ ერთ მაგიდას და განსაზღვრონ მუშათა ინტერესებისა და [illegible] ბრძოლის [illegible] ამოცანები. [illegible] ბრძოლის [illegible] ინტერესებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პლატფორმა. ყველა ქვეყნის მუშათა კლასს ერთიანი ინტერესები და ერთიანი მიზანი აქვს, მუშები ყველანი ძმები არიან, საბრძოლო დევიზი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ მუშათა კლასის იდეალების განხორციელების სწორი გზას გვიჩვენებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! საბჭოების ქვეყანა იშვა მშვიდობისა და აღმშენებლობის ლოზუნგებით. ამ კეთილშობილურ მიზნებს ინმარს იგი მთელ თავის ღონისძიებებს. მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა ხალხმა გადაიტანა გამხეცებული ფაშისტი ბარბაროსების ძირითადი დარტყმა, გაანადგურა ისინი და იხსნა ცივილიზაცია და მრავალი ხალხი მოსპობისა და გადაშენებისაგან. ახლა საბჭოთა ხალხს ძირითადი სიმძიმე აწევს ომის საფრთხის წინააღმდეგ. ატომური ომის საშინელებათაგან მსოფლიოს გადარჩენისათვის ბრძოლაში. ჩვენი პარტიის პროგრამაში დასახული საგარეოპოლიტიკური საქმიანობის მთავარი მიზანია ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად ვიხსნათ კაცობრიობა გამანადგურებელი მსოფლიო ომისაგან. ჩვენი ხალხი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა.

ამბობენ, სჯობს ერთხელ დაინახო, ვიდრე ასჯერ გაიგონო. ამიტომ საბჭოთა მთავრობა იწვევს კონგრესის მონაწილეებს გაეცნონ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას. ჩვენი სამეურნეო, კულტურული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას. თქვენ დაინახავთ, რომ ყველა ჩვენი ორგანიზაცია დაუღალავად მუშაობს ხალხის საკეთილდღეოდ, მუშათა კლასის, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ინტერესების უზრუნველყოფისათვის. ამ დღეებში ამ დარბაზის გვერდით მიმდინარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს — საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მუშაობა. დეპუტატებმა განიხილეს საბალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის გეგმა და დაამტკიცეს იგი. უმაღლესი საბჭო ამრიგად განიხილავდა კომუნისტური მშენებლობის პროგრამის პრაქტიკული შესრულების საკითხებს. და ეს კიდევ ერთი დამაჯერებელი დადასტურებაა იმისა, რომ საბჭოთა ხალხი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მშვიდობით, რომ იგი იყო, არის და იქნება თანმიმდევარი, გულწრფელი მებრძოლი მშვიდობისათვის. საბჭოთა ხალხი და მისი ორგანიზაციები ხელს უწყობდნენ ყველას, ვისაც სურს თანამშრომლობა ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გისურვოთ, ძვირფასო ამხანაგებო, წარმატებანი თქვენი პასუხსაგები მისიის შესრულებაში, ხალხთა საარსებო ინტერესებისათვის, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კლასს — თანამედროვეობის წამყვან ძალას! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობას, ერთიანობასა და ძმობას! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს მტკიცე მშვიდობას დედამიწაზე! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან. მრავალ ენაზე გაისმის მისალმების შეძახილები. კონგრესის მონაწილენი დიდი აღფრთოვანებით მღერიან „ინტერნაციონალს“).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის

სესიის ტრიბუნიდან გამოსულ დეპუტატთა ფიქრები ხალხის ფიქრები და სურვილებია, ხალხისა, რომელიც აღფრთოვანებულია XXII კონგრესის **[illegible]** ... ეს ... ...

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის

(დასასრული)

ყრილობის გადაწყვეტილებანი სრულდება

ისევე როგორც წინა დღეებში, ბევრმა დეპუტატმა დღეს თავისი გამოსვლა, მიუღლენა სოციალისტური ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მიხედვით.

ბაშკირეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა ს. ი. კუგეკინმა განაცხადა, რომ კაპიტალური დაბანდების მოცულობით ბაშკირეთის ეკონომიურ რაიონს მეოთხე ადგილი უკავია რუსეთის ფედერაციაში. აქ შენდება დიდი ქიმიის კომბინატები, იზრდება ნავთობგადამამუშავებელი, ნავთობმომპოვებელი მრეწველობის, ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამამუშავების სამმეალურეები. მაგრამ მშენებლობის ტემპი, დეპუტატის აზრით, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ამის ერთ-ერთი მიზეზია ძალებისა და სახსრების დაქსაქსვა. ახლა ხორციელდება ღონისძიებანი, რომ მთელი მეცადინეობა და მატერიალურ-ტექნიკური სახსრები მოხმარდეს გადამწყვეტ ობიექტებს. მშენებლობა იგეგმება ისეთნაირად, რომ მოკლე ვადებში დამთავრდეს დაწყებული ობიექტები და ამუშავდეს. ამასთან დაკავშირებით ორატორი სთხოვს საგეგმო და მომმარაგებელ ორგანოებს გაეთვალისწინონ მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, დროზე მიაწოდონ მოწყობილობა და მასალები.

— მოხარული ვარ მოვახსენო სესიას, რომ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ორშის სელის კომბინატის ერისთლოვანმა კოლექტივმა კარგ შედეგებს მიაღწია შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაში, — განაცხადა თავის გამოსვლაში საწარმოს მჭედელმა, დეპუტატმა ა. ი. ლუზგინმა (ბელორუსიის სსრ).

